ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 57

4 ივნისი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე, გოჩა თევდორაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
სხდომას ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი - გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭი უყარა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (№11-01191543664 03.06.2019წ; №11-0119150941 30.05.2019წ; №11-01191513059 31.05.2019წ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“. (საკრ.№15-031915170-03; №15-031915047-03; №15-0319154131-03)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით სამგორის რაიონის გამგეობის მოთხოვნით „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამაში“ მეორე კვარტლის გეგმას ემატება 372400 ლარი, მესამე და მეოთხე კვარტლებიდან. პროგრამის ასიგნებების ფარგლებში, კვარტლის ბოლომდე გასაწევი ხარჯების ფაქტიური შესრულება , აღემატება გეგმით გათვალისწინებულ ხარჯებს.

მთაწმინდის რაიონის გამგეობას, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების“ პროგრამაში, 6 თვეში ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებიდან გამომდინარე დამატებით ესაჭიროება 152 000 ლარი. ასევე 100 000 ლარის დამატება ესაჭიროებათ მეორე კვარტალში „სხვა სოციალური დახმარებების პროგრამაში“, რასაც აბალანსებენ მათთვის მიკუთვნებულ სხვა პროგრამებში არსებული თავისუფალი რესურსით. წარმოდგენილია ასევე ნაძალადევის რაიონის მოთხოვნა, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამაში“ მეორე კვარტალში 70 000 ლარის დამატებაზე, რისი დაბალანსებაც ხდება „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ და „სხვა სოციალური დახმარებების“ პროგრამებით. გარდა ამისა კრწანისის რაიონის გამგეობა, 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კონცერტის ორგანიზებისათვის მეორე კვარტალში ითხოვს 5 771 ლარის დამატებას, თანხა გადმოაქვს შესაბამისი პროგრამის მეოთხე კვარტლის გეგმიდან. შესათანხმებლად წარმოდგენილია ასევე ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ მოთხოვნა მისთვის განკუთვნილი ასიგნებების 300 000 ლარით გაზრდის შესახებ.

ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდს დაევალა შოთა ყავლაშვილის ქუჩა №10-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ავარიულ ძეგლზე არსებული ჩამონგრევის საფრთხის შემცვლელი რისკების დროებით მოხსნა და მოძრაობის აღდგენისათვის აუცილებელი წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძიებების გატარებისათვის საპროექტო და ფიზიკური სამუშაოების განხორციელება. საერთო ჯამში გადასახდელების მეორე კვარტლიდან 392 560 ლარის გადატანა ხდება მესამე და მეოთხე კვარტლებში. დაბალნსება ხდება ნაშთის ცვლილებით.

ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდისათვის მიკუთვნებული ასიგნებების ცვლილების თაობაზე, ირაკლი ზარქუას შეკითხვაზე ლევან მიქავამ დააზუსტა, რომ აღნიშნული თანხიდან 50 000 ლარი პროექტირებას და ხოლო 250 000 ლარი რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულებას სჭირდება.

საკითხთან დაკავშირებით სხვა შეკითხვები არს დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე- 7; ირაკლი ნადირაძემ და გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რაიონული გამგეობები და ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“ ითხოვს, მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილებას ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას დანართების შესაბამისად.**

(დანართი: 3 ფურცელი)

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა